

ლავრენტი ჯანიაშვილი, ნათია ჯალაბაძე

## ტრადიციის ცნება ქართულ კულტურულ კონტექსტში

XXI საუკუნის ქართულ საზოგადოებაში ეთნიკური ტრადიციების მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. საზოგადოების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ამ ტრადიციების უმეტესობამ დრო მოჰამა და პროგრესისა და განვითარების მუხრუჭად იქცა, სხვებს კი ქართველთა თვითდამკვიდრებისა და ეთნიკური ვინაობის შენარჩუნების მთავარ იარაღად სწორედ ტრადიციული ღირებულებები მიაჩნია. სავარაუდოდ, ამ ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებებს საფუძვლად პროგრესისა და ქართველი ეთნოსის განვითარების პერსპექტივაზე განსხვავებული წარმოდგენები უდევს, რასაც გარკვეული წინაპირობები გააჩნია.

ეთნოკულტურული ტრადიციები, ა. რობაქიძის განსაზღვრებით, წარმოადგენს ეთნოსის (ტომის, ხალხის, ერის) შექმნა-განვითარების პროცესში ისტორიულად ჩამოყალიბებულ, თაობიდან თაობაში გარდამავალ და ერთობლივად აღიარებულ პრინციპს, რომელიც საფუძვლად ედება ადამიანთა შორის მრავალმხრივ ურთიერთობათა ნორმებს ცხოვრების ყველა სფეროში. ტრადიცია, იმავე დროს, არის როგორც ეთნოგენეზის წყარო, ისე ეთნიკური თვითშეგნების განმტკიცების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა.<sup>1</sup> ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ ტრადიციის დინამიკის კვლევა ეთნოლოგიის უმთავრეს ამოცანად ითვლება და მას დიდი ყურადღება ეთმობა, როგორც ქართველ, ისე უცხოელ მკვლევართა ნაშრომებში.

ბოლო ხანებში აქტუალური გახდა არა მარტო ამა თუ იმ ტრადიციის წარმოშობა-განვითარებისა და ფუნქციონირების, არამედ სრულად ან თითქმის გამქრალი ტრადიციების აღორძინების, ანუ რევიტალიზაციის, კვლევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტრადიციულ სამართალთან დაკავშირებული ნაშრომები, რომელიც ამ მოვლენის არსის გაგების და მისი ზემოხსენებულ პროცესებთან მიმართებით შესწავლის ახლებურ ცდას წარმოადგენს. ზოგი მეცნიერი (ფ. ბენდა-ბეკმანი, ქ. ბენდა-ბეკმანი, ბ. თერნერი და სხვ.) პარადოქსად

<sup>1</sup> რობაქიძე, ტრადიცია, გვ. 3.

თვლის გლობალიზაციისა და სამართლის ტრანსნაციონალიზაციის პირობებში ტრადიციული სამართლის უწყვეტ არსებობას, ან მის რევიტალიზაციას. ისინი ამის მიზეზად მთელი რიგი პრაქტიკული და სოციო-პოლიტიკური ფაქტორების გარდა, ტრადიციის, როგორც იდენტობის ერთ-ერთი მარკერის ფუნქციას მიიჩნევენ.<sup>1</sup> ამასთან, სიმპტომატურია, რომ გარკვეულ ვითარებაში შესაძლებელია აღორძინდეს კულტურის ისეთი ელემენტიც, თუნდაც, ე. წ. *მავნე ტრადიცია*, რომელიც მანამდე ნეგატიურ პრიზმაში განიხილებოდა.

ტერმინი ტ რ ა დ ი ც ი ა , შეესატყვისება ქართულ ნ ე ს ს , ჩ ვ ე უ ლ ე ბ ა ს . ჩვენი დაკვირვებით, საქართველოში XX საუკუნის დასაწყისამდე ეს ტერმინი ქართველთა ლექსიკონში არ გვხვდება; სავარაუდოდ, იგი რუსულიდან უნდა შემოსულიყო, როგორც ჩვეულების აღმნიშვნელი უცხოური სიტყვა; ჩანს, ის რუსულ ენაშიც მოგვიანებით დამკვიდრდა, რადგან გასული საუკუნის 50-იან წლებშიც კი, განსაკუთრებით უცხოურიდან თარგმნილ ლიტერატურაში, *ტრადიციის* ნაცვლად ხმარობდნენ — о б ы ч а й , с т а р ы й о б ы ч а й (ჩვეულება). ქართულ წერილობით ტექსტებში და სასაუბრო, თუ ოფიციალურ ენაში ტრადიციის შესატყვისად გამოიყენებოდა ტერმინები: ნ ე ს - ჩ ვ ე უ ლ ე ბ ა , ნ ე ს ი ან უბრალოდ ჩ ვ ე უ ლ ე ბ ა . სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ნესი უწოდიან ჩვეულებასა განმტკიცებულსა და მდგომარესა“.<sup>2</sup> ნ. ხიზანაშვილის აზრით: „[...] ჩვეულება წმინდა კანონია, დაუნერგელი გონებაა, რომელიც ინახავს ხალხის თვისებებს“. იგი ხალხის ვინაობის გამომხატველია, ხოლო ჩვეულების სამუდამოდ გაქრობას თან მიჰყვება „ნიშანი ჩვენი ვინაობისა“.<sup>3</sup> ქართული სალიტერატურო ენის აკადემიურ ლექსიკონში ტრადიცია განმარტებულია, როგორც „ისტორიულად ჩამოყალიბებული, თაობიდან თაობაზე გადაცემული ნეს-ჩვეულებები, ყოფაქცევის ნორმები, შეხედულებები და სხვ“.<sup>4</sup> ფაქტობრივად, ტერმინები ჩ ვ ე უ ლ ე ბ ა , ნ ე ს - ჩ ვ ე უ ლ ე ბ ა და ტ რ ა დ ი ც ი ა ერთიდაიმავე შინაარსის გამომხატველია და მათ შორის გამმიჯვნივლი მკაფიო ზღვარი ვერ გაივლება, თუმცა, საბჭოთა პერიოდში, გარკვეული იდეოლოგიურ-პოლიტიკური მოსაზრებით, ცდილობდნენ მეცნიერულად დაესაბუთებინათ ამ ცნებათა შორის განსხვავება.

საქართველოს რუსეთის დაქვემდებარებაში ყოფნის მთელ პერიოდს (რუსეთის იმპერია, სსრ კავშირი), თან სდევდა ეროვნული ჩვეულების, როგორც იდენტობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშნის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა მთელი სერია. პირველ რიგში, ეს იყო ქართული სამართლის

<sup>1</sup> Bayer, *Revitalization, invention*, გვ.141-171; Benda-Beckman (et al), *Vitality and revitalization*.

<sup>2</sup> სულხან საბა ორბელიანი, *ლექსიკონი*, გვ. 374.

<sup>3</sup> ხიზანაშვილი, *ეთნოგრაფიული წერილები*, გვ. 2-4.

<sup>4</sup> ქართული ლექსიკონი, ელექტრონული ვერსია.

და ქართული ეკლესიის წინააღმდეგ გატარებული რეფორმები, სასამართლო სისტემის უნიფიკაცია და რუსული წეს-კანონების დამკვიდრება, ქართული ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნა, ასევე საგანმანათლებლო სისტემის ტრანსფორმაცია და ა. შ. იმავდროულად, ქართული სულიერების გადარჩენისთვის მებრძოლი ინტელიგენცია ცდილობდა, ერთი მხრივ, განემტკიცებინა ჩვეულებები, რაც ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებასა და კონსოლიდაციას შეუწყობდა ხელს, მეორე მხრივ კი, უარი ეთქვა დრომოჭმულ და საზიანო ტრადიციებზე.

ილია ჭავჭავაძე თავის შემოქმედებაში განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას ქართული თვითიდენტობისა და ეროვნულ ჩვეულებათა ურთიერთმიმართებაზე; იგი ჩვენს ჩვეულებას ხალხისგან მამა-პაპით აღიარებულ სიმართლეს უწოდებდა.<sup>1</sup> XIX საუკუნის ბოლო მეოთხედისათვის მისი თაოსნობით დაიწყო ხალხური წეს-ჩვეულებებისა და ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი სხვადასხვა მასალების შეკრება. ილია ხაზს უსვამდა ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის მნიშვნელობას და ყველას, სპეციალისტსა და არასპეციალისტს, მოუწოდებდა სათანადო მონაცემთა ფიქსაციისაკენ. ეს იყო ერთგვარი კამპანია, რომელიც ქართული ეროვნული იდეოლოგიისა და წეს-ჩვეულებების მოსპობის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული. აშკარა იყო, რომ ეთნიკური ტრადიცია განამტკიცებდა და აყალიბებდა ერის იერსახეს. ტრადიციის დაკარგვას კი მისი შემქმნელ-მატარებელი ხალხის მოსპობა მოჰყვებოდა, რის შემდეგაც, მათ ნაფუძარზე უცხოთა დამკვიდრების ხელსაყრელი პირობები იქმნებოდა.<sup>2</sup>

ხსენებულის მიუხედავად, ისიც ცხადი იყო, რომ გარკვეული ტრადიციები ხელს უშლიდა საზოგადოების განვითარებას და საჭირო იყო მათზე უარის თქმა. როგორც ნ. ხიზანაშვილი წერდა, საჭირო იყო მხოლოდ ისეთი ჩვეულებების დაცვა, რომელიც „ხალხის ვინაობის გამომხატველია და ამასთანავე ზნეობითს კანონს არ ეწინააღმდეგება“.<sup>3</sup> ქართული საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ე. წ. მავნე წეს-ჩვეულებებს ბრძოლა გამოუცხადა.<sup>4</sup> ქართული ინტელიგენცია (ს. მესხი, პ. უმიკაშვილი, ა. ყაზბეგი და სხვ.) იმ წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ იბრძოდა, რომელიც ეკონომიკურ ტვირთს უმძიმებდა მოსახლეობას (ხალხმრავალი ქელებები, „ქვრივის დაძახება“ და ა. შ.).<sup>5</sup> განსხვავებულ ხასიათს ატარებდა „კავკასიაში მართლმადიდებელ-ქრისტიანული სარწმუნოების აღმდგენელი საზოგადოე-

<sup>1</sup> ჭავჭავაძე, *თხზულებანი*, გვ.94.

<sup>2</sup> კეკელია, *ეროვნული ტრადიციების*, გვ. 7.

<sup>3</sup> ხიზანაშვილი, *ეთნოგრაფიული წერილები*, გვ. 3.

<sup>4</sup> ჩიქოვანი, *მავნე ტრადიციების*, გვ. 34-71.

<sup>5</sup> ითონიშვილი, *ქართველ მთიელთა საოჯახო*, გვ. 74-76.

ბის“ საქმიანობა, რომელიც მავნე ტრადიციებთან ბრძოლის მიზნით ეკლესიაში გარკვეული ძველი წესების აღმოფხვრას და ე. წ. წარმართული ელემენტების განადგურებას ცდილობდა; ე. წ. „ბლალოჩინები“ აწყობდნენ რევიზია-მოგზაურობებს სხვადასხვა ადგილებში, ენეოდნენ პროპაგანდას, რასაც ხშირად სდევდა ჯვარ-ხატების რბევა და ურჩი ხატის მსახურების წინააღმდეგ ადმინისტრაციული ზომების მიღება.<sup>1</sup> გასაკვირი არაა, რომ ქრისტიანობის განწმენდის ლოზუნგით მიმდინარე საქმიანობა ეთნიკურ დისკრიმინაციად აღიქმებოდა და ხშირად ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზი ხდებოდა.

ტრადიციების მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც შენარჩუნდა. სსრკ-ს შექმნის პირველივე წლებიდან საბჭოთა კანონმდებლობამ მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობასთან შეუსაბამო ყველა ჩვეულებითი ნორმა ანაქრონიზმად გამოაცხადა, რადგან მიაჩნდა, რომ ის შეურიგებლად ეწინააღმდეგებოდა სოციალისტურ ურთიერთობებს, კომუნისტური მორალის ნორმებს და მატერიალურ ზარალს აყენებდა საზოგადოებას. ძველი ჩვეულებები „მავნე გადმონაშთად“ შერაცხეს და გადაწყვიტეს, რომ ისინი ძირფესვიანად უნდა აღმოფხვრილიყო. საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსს ერთვოდა შვიდმუხლიანი დებულება — „იმ დანაშაულთა შესახებ, რაც საგვარეულო ყოფა-ცხოვრების ნიშნებს წარმოადგენდა“.<sup>2</sup> კომუნისტური საზოგადოებისათვის სრულიად მიუღებლად გამოცხადდა ძველი ქართული საზოგადოებრივი ყოფიერებისათვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებები და ზნეობრივი ნორმები, რომლებიც შეესატყვისებოდა ფეოდალურ საზოგადოებრივ ფორმაციას და შეუსაბამობაში იყო სოციალისტურ წყობასთან.<sup>3</sup>

ხსენებულ ღონისძიებებს გარკვეულწილად ემსგავსება მავნე წეს-ჩვეულებებთან და ტრადიციებთან ბრძოლის კამპანია XX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში. 1975 წელს საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება მავნე წეს-ჩვეულებებთან და ტრადიციებთან ბრძოლის გააქტიურების შესახებ. დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის იდეოლოგიური საფუძვლის შესამზადებლად გადაწყდა ამ საქმიანობაში მეცნიერთა ჩაბმა. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში გამოვიდა მრავალი ნაშრომი, რომლებიც სწორედ მავნე ტრადიციების განსაზღვრასა და მათი აღმოფხვრის გზებს ეხებოდა.<sup>4</sup>

<sup>1</sup> ჩიქოვანი, *მავნე ტრადიციების*, გვ. 84.

<sup>2</sup> კეკელია, *ეროვნული ტრადიციების*, გვ. 11.

<sup>3</sup> ფურცხვანიძე, *ადამიანის პატივისა და ღირსების*, გვ. 35.

<sup>4</sup> სოხაძე, *წეს-ჩვეულებების აკვარგიანობის კრიტერიუმებისათვის*; ნადარეიშვილი, *ხეცურიანი, ზოგი მავნე ჩვეულების შესახებ*; ჩიქოვანი, *მავნე ტრადიციების*; ახვლედიანი, *ტრადიციების პრობლემა*, და ა. შ.

მეცნიერებს უნდა განესაზღვრათ, პირველ რიგში, ტრადიციების ავკარ-გინაობა. ამ მიმართებით მთავარ კრიტერიუმად გამოცხადდა ტრადიციების მიმართება პროგრესთან. იმდროინდელი შეფასებით: „არსებობს დადებითი ტრადიციებიც და უარყოფითი ტრადიციებიც. ერთი საზოგადოების წინსვ-ლას, პროგრესს ემსახურება, მეორე კი, როგორც კომმარი, მძიმე ტვირთად აწევს თანამედროვე ადამიანის ცხოვრებას“.<sup>1</sup> ათეისტურ საზოგადოებაში, მმართველმა პარტიამ მავნე ტრადიციებად, პირველ რიგში, რელიგიური ხა-სიათის ჩვეულებები შეარაცხა. მრავლად გვხვდება ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ატარებდნენ სხვადასხვა ღონისძიებას პარტიული ფუნქციონერები რელიგიური ტრადიციების აღმოსაფხვრელად. ფართოდ იყო გავრცელებუ-ლი აღდგომის უქმე დღისათვის „შაბათობების“ დამთხვევა, კომკავშირელებსა და კომპარტიის წევრებს ეკრძალებოდათ ეკლესიაში შესვლა და რელიგიურ რიტუალებზე დასწრება, ეწყობოდა სპეციალური რეიდები ასეთი პირების გა-მოსავლენად. იმდროინდელ სტუდენტებს კარგად ახსოვთ, თუ როგორ უკრძა-ლავდნენ გულზე ნათლობის ჯვრის ტარებას, და სხვ. საინტერესო დეტალს იხსენებს ქვემო ქართლში მცხოვრები სვანი ეკომიგრანტი: „საგარეჯოში სვანებმა ერთ ადგილას ჯვარი გააკეთეს. მაშინ მძლოლად ვმუშაობდი. რაი-კომის მდივანმა წამიყვანა და მიბრძანა — ეს ჯვარი ამოაძვრე და წამოიღეო. მე ამას როგორ გავაკეთებდი, ვუთხარი — აგერ, თქვენი მანქანა და რაც გინდათ ის ქენით-თქო — და წამოვედი. ორი დღის მერე დამიბრუნეს მანქანა. ჯვრის ამოღებას იმით ამართლებდნენ, რომ თითქოსდა მძლოლები იმ ადგი-ლას მანქანებს აჩერებენ და ღვინოს სვამენო“.<sup>2</sup>

ოფიციალურ დოკუმენტებში, რომლებიც ეხება სსრკ-ში ეროვნულ კულ-ტურებთან დაკავშირებულ პრობლემებს, ტერმინები *ჩვეულება* და *ტრადიცია* გამოიყენებოდა, როგორც განსხვავებული ცნებები (მაგალითად — 1975 წლის 25 ნოემბრის რეზოლუცია „მავნე ჩვეულებებისა და ტრადიციების წინააღ-მდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“). მეცნიერთა წინაშე დადგა საკითხი მომხდარიყო ამ ტერმინთა დეფინიციური გამიჯვნა.

გამოითქვა რამდენიმე მოსაზრება, რომ ამ ცნებებს შორის განსხვავება პირველ რიგში მათი მოქმედების სფეროებში უნდა გვექებნა. ტრადიციის მო-ქმედების სფერო ჩვეულებისაგან განსხვავებით უფრო ფართო უნდა ყოფილი-ყო — ტრადიცია მთელ საზოგადოებას ეხება, ჩვეულება კი ოჯახსა და ყოფას.<sup>3</sup> განასხვავებდნენ მათი დამკვიდრებისთვის საჭირო დროს — ჩვეულებისთვის უფრო დიდს, ტრადიციისთვის კი უფრო მცირე პერიოდს; მიიჩნევდნენ, რომ

<sup>1</sup> ახვლედიანი, *ტრადიციების პრობლემა*, გვ. 3.

<sup>2</sup> ჯანიაშვილი, *საველე მასალა*.

<sup>3</sup> კეკელია, *ეროვნული ტრადიციების*, გვ. 7.

ტრადიციას უფრო ინტერნაციონალური ხასიათი გააჩნდა, ვიდრე ჩვეულებებს, ამიტომ სხადასხვა ხალხის ტრადიციებს უფრო მეტი საერთო ჰქონდა, ვიდრე მათ ჩვეულებებს. ჩვეულებები ტრადიციებთან შედარებით უფრო ძველი იყო. კონსერვატული ბუნებიდან გამომდინარე, ჩვეულებების ტრანსფორმაცია უფრო ძნელი იყო, ვიდრე ტრადიციისა, და ა. შ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ავტორი ჩვეულებასა და ტრადიციას ერთმანეთისაგან არ მიჯნავდა.<sup>1</sup> აშკარაა, რომ კომუნისტური ეთოსით გამსჭვალული ყველა ეს არგუმენტი, აყალიბებდა საფუძველს იდეისათვის, რომ ჩვეულება კონსერვატულია და მოძველებული, ტრადიცია კი ადვილად განიცდის ადაპტაციას და უფრო მეტად საზოგადოებრივი ხასიათი გააჩნია; რომ არ შეიძლება იყოს ახალი ჩვეულებები, მაგრამ შესაძლებელია ახალი ტრადიციების შექმნა; და რეალურადაც, როდესაც გამოცხადდა ბრძოლა ძველი ჩვეულებების წინააღმდეგ, პარალელურად იქმნებოდა და ინერგებოდა ახალი ტრადიციები (მაგალითად, ახალი დღესასწაულები — შოთაობა, თბილისობა, ვაჟაობა და ა. შ.); ეროვნული დღესასწაულის შექმნის იდეით შეფუთული და ქართული ტრადიციების ფორმირების ცოდნაზე დამყარებული ეს ქმედებები სინამდვილეში ჩვეულებების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ნაწილი იყო, რათა პირველ ეტაპზე რელიგიური დღესასწაულები საერთო ჩაენაცვლებინათ. საბოლოო მიზანს კი ათეისტური საზოგადების ფორმირება და „ჭომო სოვიეტიკუსის“ იდეოლოგიის გამარჯვება წარმოადგენდა.

ხსენებულის მიუხედავად, ძველი, ჩვეულებითი ნორმები კომუნისტურ ეპოქაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სოციალურ ურთიერთობებსა და ყოველდღიურ ყოფაში, განსაზღვრავდნენ პიროვნების უფლება-მოვალეობას საკუთარი სოციალური მიმართ. ძველი ტრადიციით, საზოგადოება ზოგიერთ ქმედებას დანაშაულად და სასჯელის ღირსად მიიჩნევდა, ზოგი გაკიცხვის ან დაცინვის საგანი ხდებოდა, სხვა კი — პირიქით, საყოველთაო მოწონებასა და ქებას იმსახურებდა. მიუხედავად იმისა, რომ, ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტის დამსჯელი მექანიზმები იმ ეპოქაში შეზღუდული იყო, საზოგადოების ძირითადი ნაწილის დამოკიდებულება ტრადიციული ნორმების დამრღვევთა მიმართ მაინც ნეგატიური რჩებოდა.

კომუნისტურმა მთავრობამ ვერ შესძლო შედარებით პროგრესული გენდერული თანასწორობის პრინციპის დამყარება და ვერც ამ სფეროში არსებული ტრადიციების აღმოფხვრა. 1926 წ. გამოქვეყნდა საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა ახალი პროექტი, რომელიც ახალ იდეოლოგიას საფუძველს უმყარებდა. კერძოდ, იურდიული ძალა მოესპო საეკლესიო ქორწინებას და მის ნაცვლად დაანესეს სამოქალაქო ქორწინება. გაამარტივეს

<sup>1</sup> იქვე, გვ. 8.

მულღეთა განქორწინების წესი (საკმარისი იყო ამ სურვილის მმარჩის ბიუროში დაფიქსირება), დაარეგულირეს მეულღეთა ქონებრივი მდგომარეობა და ა. შ.<sup>1</sup> ეს კანონები მომდევნო წლებში დროის მოთხოვნების შესაბამისად იცვლებოდა, თუმცა ხალხურ ყოფაში ბოლო ხანებამდე ეფექტურად ფუნქციონირებდა არა ფორმალური, არამედ ჩვეულებითი სამართლის ნორმები; თუნდაც, სუფრასთან ქალისა და მამაკაცის ცალ-ცალკე ჯდომის ძველი წესი. ა. ლ. ნიჟარაძე სვანურ სადღესასწაულო სუფრას ასე აღწერს: „სვანებში სამხიარულო სუფრები, ჩვეულებრივ, ხსნილისა და მთვარის მომატების პერიოდში იშლებოდა. სამისოდ გამოიყენებოდა სვანური სახლის მეორე სართული ‘დარბაზ’, შემდგომში ახალი საცხოვრებელი სახლის დიდი ოთახი — პალატი. ქვემო ქართლის სვანები სუფრას ე. წ. სეფაში შლიან. მცირე სამხიარულო სუფრის დროს ამ მიზნით იყენებენ საცხოვრებელი სახლის დიდ ოთახს. სვანურ სუფრაზე მამაკაცებისა და ქალების ჯდომის წესი განსაზღვრული იყო. მამაკაცები ერთად სხდებოდნენ, ქალები კი ერთად“.<sup>2</sup> უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რიტუალურ სუფრასთან სხდომის ამგვარი წესი დღესაც ფართოდაა გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხის სოფლებში.

ტრადიციული სოციუმისთვის დამახასიათებელი ნორმატიული ურთიერთობებიდან, ბუნებრივია, გამონაკლისი ყოველთვის არსებობდა. იშვიათი საოჯახო დავების ერთ-ერთ მაგალითად მ. გეგეშიძეს მოტანილი აქვს ზემო სვანეთში დაფიქსირებული საინტერესო შემთხვევა, როდესაც მომჩივანი მამაკაცი ითხოვდა ოფიციალურად განქორწინებას. წლების განმავლობაში იგი სამეგრელოში მუშაობდა, სადაც მეორე ოჯახსაც მოეკიდა. ნათესავებს უცდიდათ მისი პირველი ოჯახის შენარჩუნება (სვან მეულღესთან) და წერილობითი ხელშეკრულებით პირობა ჩამოურთმევიათ, რომ ძველ ოჯახს არ დაანგრევდა. რადგანაც ამ პიროვნებამ ვერ შესძლო პირობის შესრულება, სასამართლომ მისი საქმე განიხილა და განქორწინებით დააკმაყოფილა.<sup>3</sup> თავად ის ფაქტი, რომ მკვლევარმა გენდერულ თანასწორობაზე აგებული საზოგადოებისათვის მეტად ჩვეულებრივი მოვლენა (განქორწინება), ნაშრომში შეიტანა, ცხადყოფს, რომ მსგავსი პრეცედენტი ამ სოციუმში იშვიათი იყო. მ. გეგეშიძის მონაცემებით 1964-1979 წწ. ზემო სვანეთში არც ერთი საქმე არ მოინახა, რომელიც ოჯახურ გაყრასა თუ სხვა სახის ოჯახურ არეულობას ეხებოდა. სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ კი მას დაუდასტურა, რომ ამ სახის საქმეები არ აღწევდნენ სახელმწიფო სასამართლომდე, რადგან მოგვარეთა უფროსი და ჭკვიანი კაცების ჩარევა და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიიჩნეოდა უკანასკნელ სანქციად. მეცნიერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ

<sup>1</sup> ვარძიელი, *საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო*, გვ. 4-5.

<sup>2</sup> ნიჟარაძე, *ქვემო ქართლის სვანების*, გვ. 27.

<sup>3</sup> გეგეშიძე, *საქართველოს მთის ზონის მოსახლეობის*, გვ. 117.

სასამართლოს თავმჯდომარე ოფიციალურად აცხადებდა კმაყოფილებას არსებული მდგომარეობის გამო, რადგან ამგვარი გზით გამოტანილი განაჩენი ყოველთვის სამართლიანი იყო. ტრადიციული ურთიერთობები მტკიცედ იყო შენარჩუნებული ნათესაურ გაერთიანებებში. ერთი გვარის წევრები მიიჩნევდნენ, რომ მათ საერთო ჭირი და ლხინი ჰქონდათ; გარდაცვლილს გლოვობდა არა მარტო გარდაცვლილის ოჯახი, არამედ მათი ყველა მოგვარე. იმ ფაქტს, რომ გასული საუკუნის 60-იან წლებში შინაოჯახური საკითხების მოგვარების თაობაზე სვანეთის სასამართლოებში უმნიშვნელო ოდენობის საქმე იყო განხილული, მ. გეგეშიძე ოჯახისა და მოგვარეთა მორალური ერთიანობის არგუმენტად მიიჩნევს.<sup>1</sup>

შეიძლება ითქვას, რომ სოციალ-კულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორების გავლენით, არა მარტო საქართველოს მთაში, არამედ სხვა რეგიონებშიც, ადამიანები, ძირითადად ერთგული დარჩნენ იმ ძველი ჩვეულებებისა (უფროსის პატივისცემა, სტუმართმოყვარეობა, სიტყვის კაცობა, საოჯახო ურთიერთობები, ქონების გაყოფის წესი, ეგზოგამია, გენდერული ურთიერთობები და ა. შ.), რაც ყოველდღიურ ყოფაში დღემდე ვლინდება. საველე-ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, საბჭოთა პერიოდში, საქართველოში ჩვეულებითი სამართლის მიხედვით არა მარტო სამოქალაქო საქმეები წყდებოდა, არამედ მთაში ძლიერი იყო ტრადიციის ზეგავლენა სისხლის სამართლის საქმეებზეც. კონკრეტული მაგალითების მოშველიებით რესპონდენტები გადმოგვცემენ, რომ სვანურ თემში ყველა საკითხის რეგულირება ადრე ადათებით ხდებოდა და დღესაც ხშირად ასეა. ამგვარ მდგომარეობას ადასტურებს სამეცნიერო ლიტერატურაც.

პოსტსაბჭოთა პერიოდში ეროვნული ტრადიციის, როგორც იდენტობის ერთ-ერთი მარკერის მოქმედება უფრო მეტად შეუზღუდავი გახდა და განსხვავებული დატვირთვა შეიძინა. განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როდესაც ეთნიკური კულტურის ან მისი ელემენტების არსებობა საფრთხის წინაშე დგებოდა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ტრადიციული და არატრადიციული კულტურის ელემენტთა დაპირისპირებამ შესაძლოა უკვე მივიწყებული ტრადიციის აღორძინება გამოიწვიოს. მაგალითად, გასული საუკუნის მინურულს, აფხაზეთის ომის შედეგად დევნილი სვანების ნაწილი მამა-პაპეულ სოფლებს დაუბრუნდა. ბევრმა მათგანმა წინაპართა კუთვნილი მიწები დაიბრუნა და დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო. დევნილთა შორის იყო მცირე ნაწილი, რომლების იეჰოვას მოწმეთა მიმდევრები იყვნენ. ისინი ამ „სწავლების“ სვანეთში გავრცელებას ცდილობდნენ. მათმა, ხშირ შემთხვევაში, აგრესიულმა დამოკიდებულებამ ტრადიციული ქართული ფასეულობებისადმი,

<sup>1</sup> იქვე, გვ. 115-116.



სული ჩაუდგა ეცერის თემში უკვე მივიწყებული ხალხური დღეობის სათემო ლოცვის „ლალხორა მიშლადელის“ აღდგენას. სექტანტებმა ვერ გაარღვიეს რელიგიური ტრადიციით ნასაზრდოები ტრადიციული ცხოვრების წესი, რომლის ხელყოფაც, საფრთხეს უქმნიდა მთელ მხარეს.<sup>1</sup> ამ შემთხვევაში რელიგიური დღესასწაულის აღდგენა, ტრადიციის რევიტალიზაციის მაგალითია. ეს პროცესი გამოწვეულია ტრადიციული საზოგადოების შიშით არატრადიციული იდეოლოგიის დანერგვის და ტრადიციული ღირებულებების დაკარგვის გამო, რაც ჯგუფის ეთნიკურ იდენტობას უქმნის საფრთხეს.

ძველი ჩვეულებითი ნორმების აღორძინებას ხელი შეუწყო კრიზისულმა ვითარებამ გასული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც სახელმწიფო ინსტიტუტები შედარებით უძლური იყვნენ განეხორციელებინათ ეფექტური მმართველობა. ქვემო ქართლში ჩასახლებული სვანები სტაბილური ვითარების შენარჩუნების მიზნით ტრადიციულ ყრილობას (ლალხორ) ინვევდნენ და ხატზე იფიცებდნენ, რომ არ დაუშვებდნენ ტრადიციული ნორმებიდან გადახვევას და დანაშაულს თავიანთ სოფელში. საველე მასალის თანახმად, ქვემო ქართლში ჩასახლებულ სვანთა სოფლებში ე. წ. შვიდკაცა ჩამოაყალიბეს: „უხუცესთა საბჭო გვქონდა, რომელიც თავად ჩვენ, საზოგადოებამ შევქმენით. ამ შვიდკაცას ეკისრებოდა სოფელში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებლობა, საორგანიზაციო საკითხების გადანყვეტა და ა. შ. მაგალითად, ერთი ახლგაზრდა კაცი შეცდა, ნილაბი გაიკეთა და გაძარცვის მიზნით თავს დაესხა თავისსავე ნათესავ ქალს. დიასახლისმა შეიცნო თავდამსხმელი, არ შეეპუა მომხდურს და ცეცხლის საჩხრეკი, ასტამი, ჩასცხო სახეში. ახალგაზრდა კაცმა გაქცევით უშველა თავს. ყვირილზე მეზობლები მოცვივდნენ და ყაჩაღს დაედევნენ, შეიპყრეს იგი და გათოკეს. მეორე დღეს უხუცესთა საბჭო შეიკრიბა და დანაშავე მის ოჯახთან ერთად სოფლიდან გააძევა“. ჩვენი მეორე მთხრობელი, რომელიც წარმოშობით ბალსზემო სვანეთიდანაა (ლატალის თემიდან) გვიამბობს — „90-იან წლებში არეულობა რომ იყო, ბევრი უბედურება მოხდა ლატალში. ახალგაზრდებმა იარაღი აიღეს, ხშირი იყო მკვლევლობები და ქურდობები. ლატალში 7 მკვლევლობა მოხდა. ახლა წარმოიდგინე, ლატალში 18 გვარია და ყველა ერთმანეთს გადაემტერა“. საზოგადოება თვითგანადგურების წინაშე დადგა და იძულებული გახდა ხსნის გზა მოეძებნა. „მთელი ლატალის წარმომადგენლები შევიკრიბეთ, ვისაც სიტყვა გვეთქმოდა და მთელი თემი დავაფიცეთ. მოსისხლე გვარები შევარიგეთ. ქურდობისა და ყაჩაღობის პრობლემაც მოვაგვარეთ და ახლა დოღარები რომ დაყარო ქუჩაში, იქვე დაგხვდება, ხელს არავინ ახლებს. ყოველწლიურად 5 ოქტომბერს ვიკრიბებით და ლატალობას (ლატალის თემის დღესასწაულს — ლ. ჯ.) აღვნიშნავთ. და-

<sup>1</sup> გუჯუჯიანი, *ქართველ მთიელთა*, გვ. 128-130.

ნაშაულებათა აღმოსაფხვრელად 24 კაციანი კომისია შევექმენით, რომელიც დღესანაულის წინა დღეს იკრიბება და საქმეებს არჩევს. ძველი მეთოდიც გამოვიყენეთ: თემის ნებისმიერი წევრი, ვინც კი დანაშაულს შეესწრება, უნდა ეცადოს დამნაშავის შეჩერებას. თუ დანაშაული მაინც მოხდა, მაშინ იგი ვალდებულია, ჩვენს კომისიას შეატყობინოს. ჩაშვების ინსტიტუტი შემოვიღეთ, რა!“. <sup>1</sup> ანალოგიისათვის მოვიტანთ ერთ ისტორიულ საბუთს, რომლის მსგავსი მრავლადაა დაცული ისტორიულ წყაროებში. XV საუკუნის „საერთო და საერთაპირო“ დოკუმენტში „დანერილი საერთო და საერთაპირო ერთობილისა კალისა ჯვეისა კალის მთისა საქმისათვის“ ნათქვამია, რომ რაც კი კალის თემში დანაშაული მოხდებოდა, პასუხს ერთობილ კალის ხევი გასცემდა. <sup>2</sup>

ზემოთ აღნიშნული ურთიერთობები საკმაოდ ძველ ისტორიულ ტრადიციებს ემყარება და თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ხშირად სათანადო ვითარებაში სოციუმი იხსენებს და პრაქტიკულადაც აღადგენს უკვე დავიწყებულ ძველ ინსტიტუტს. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მთაში ჩვეულებითი ნორმების კონსერვაცია ძირითადად განპირობებული იყო აქ სახელმწიფო ინსტიტუტების მოქმედების შეზღუდული შესაძლებლობებით. როგორც ჩანს, ამ გარემოებას ემყარება მცდარი შეხედულება, რომ თანამედროვე ყოფაში დამკვიდრებული ტრადიციები მხოლოდ მთის მოსახლეობას უკავშირდება. ზოგიერთი ავტორი ტრადიციული ქართული სუფრის წარმოშობასაც აღმოსავლეთ საქართველოს მთას უკავშირებს. გ. თევზაძე წერს: „დღევანდელი ქართული სუფრის წარმოშობის შესახებ, საქართველოს ახალ ისტორიას უნდა მივმართოთ: მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში გაძლიერდა მიგრაცია აღმოსავლეთის მთიანეთიდან ქართლში: ზოგჯერ ეს მიგრაცია ნებაყოფლობითი იყო, ზოგჯერ იძულებითი. ჩამოსულ ხალხს თავისი წესჩვეულებები ჩამოჰქონდა, რომლებსაც წარმატებით ინარჩუნებდა კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში. წინა საუკუნის 80-იან წლებშიც კი, ახალციხე, ახალქალაქი, ერთანმინდას გარშემო სოფლებში შეხვდებოდით ხევსურების და მოხვევების ჩამოტანილ, სულ ოდნავ გადასხვაფერებულ დღეობის სუფრებს, ქალი თამადებით ქალების სუფრაზე და ორივე, კაცების და ქალების სუფრაზე სმის და სადღეგრძელოების მკაცრად განსაზღვრული წესით. როგორც ჩანს, მთიდან ჩამოტანილმა დღეობის სუფრამ, ქართლის მოსახლეობაში ნახევრად სეკულარიზაცია განიცადა, შეითვისა თამადის და სმაში შეჯიბრების წესები (ამ უკანასკნელს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის

<sup>1</sup> ვარდების რევოლუციის შემდეგ კორუფციის აღმოსაფხვრელად და ე. წ. კრიმინალური ცნობიერების შეცვლის მიზნით, საქართველოში შემოიღეს კანონი, რომელიც ეჭვმიტანილს სასჯელს უმსუბუქებს, თუ იგი ითანამშრომლებს გამოძიებასთან და დაასმენს დანაშაულში მონაწილე სხვა პირებს. ამას ხალხში „ჩაშვების ინსტიტუტი“ უწოდებს.

<sup>2</sup> ინგოროყვა, *სვანეთის საისტორიო ძეგლები*, გვ. 70.

დღეობის სუფრა გამორიცხავდა) და ჩამოყალიბდა თითქმის ისეთად, როგორ-საც ვიცნობთ. იმ მოსაზრებას, რომ სიტყვა 'თამადა' და მისი წესი ამ დროსაა შემოსული ქართლში, ისიც მონიშნავს, რომ ამ სიტყვას სულხან საბას 'სიტყვის კონა' არ იცნობს".<sup>1</sup>

ხსენებული მოსაზრება მთლიანად ქართული ეთნიკური გარემოსათვის დამახასიათებელი და საუკუნეების წიალიდან მომდინარე წეს-ჩვეულების დავინროების (აღმოსავლეთ საქართველოს მთისათვის მიკუთვნების) და მის შედარებით ახალ მოვლენად გამოცხადების მცდელობას წარმოადგენს. სასამელი, განსაკუთრებით ღვინო, საქართველოში ყველგან ღვთის შესანიშნავად ითვლებოდა. როდესაც ოჯახი ყურძენს დაკრეფდა და დაწურავდა, ღვინის ერთ ნაწილს ზედაშედ, შესანიშნავად ღვინოდ გაამზადებდა; ამისათვის საგანგებოდ განკუთვნილ ქვევრს გაავსებდა და რომელიმე წმინდანის სახელზე დათქვამდა. ამ ღვინოს ხელს ვერავინ ახლებდა და მხოლოდ ხატობაში დაიღვოდა იმ წმინდანის სადიდებლად, რომლის სახელზეც ღვინო მზადდებოდა. ზედაშე შეენიშნებოდა სოფლის, საგვარეულოს თემისა და ხევის უზენაეს „პატრონებს“ და მფარველებს. დამონმებულია ზედაშეები — საღვთო, საკალანდო, სამაისო, საჭაბუკო, სამაგიერო და ა. შ. ყურძენისა და ღვინის კულტის წყალობით სათაყვანებელი გახდა ღვინის შესანახი შენობა, მარანი და ღია ჭურისთავიც. ეს ადგილი წმინდად ითვლებოდა, იქ კლავდნენ შესანიშნავს, აწყობდნენ ქორწილსა და ნათლობას.<sup>2</sup> გენდერული თვალსაზრისით მკაცრად იყო რეგლამენტირებული ღვინის დაყენებასა და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული საქმიანობა. ქალს აკრძალული ჰქონდა ყურძენის დაწურვა, ქვევრის გარეცხვა, ღვინის გადაღება, ქვევრის მოხდა და იქედან ღვინის ამოღება. თუმცა პურობაზე ქალებიც მამაკაცების მსგავსად ყველგან მონაწილეობდნენ და მათ ღვინის სმა არ ეკრძალებოდათ.

რელიგიურ წესზეა დამყარებული ქართული სუფრის რიტუალური მხარეც. სუფრის აუცილებელ პერსონაჟს წარმოადგენს ხელმძღვანელი (თამადა, ტოლუმბაში, ძველი ფორმებია — პურის უფალი, მთავარი ტაძრისაი, მხნის თავი), რომლის ძირითად ფუნქციას სადღეგრძელოს თქმა — დალოცვა წარმოადგენს. ხ. იოსელიანის დაკვირვებით, სვანურ სუფრაზე აუცილებლად სათქმელი პირველი სამი სადღეგრძელო პირდაპირ გადმოტანილია ლოცვიდან, რომელიც ზედაშის, რიტუალური კვერებისა და საკლავის გულღვიძლის შენიშვნისას ეკლესიაში ითქმებოდა; გარდა ამისა, სვანურში ტერმინ თამადის დამკვიდრებამდე იხმარებოდა ტერმინი, რომელიც სიტყვა-სიტყვით „დამლოცველს“ აღნიშნავდა, ხოლო ქართულ ენაში სადღეგრძელოს თქმა, იგივე

<sup>1</sup> თევზაძე, *სხვა ისტორია*, გვ. 92.

<sup>2</sup> ბარდაველიძე, *ავუნა-ანგურა*, გვ. 12.

ლოცვა/დალოცვაა. შესაძლებელია, თავდაპირველად რელიგიური რიტუალის შემსრულებელი, ლოცვის მთქმელი, დროთა განმავლობაში სუფრის უფროსად და მოთავედ გადაიქცა.<sup>1</sup> ამ მოსაზრების გარკვეულ მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ ტრადიციული ქართული პურობა დღესაც მკაცრად რეგლამენტირებულია, სადაც სადღეგრძელოების რიგი მკაფიოდ ჩამოყალიბებული თანამიმდევრობით ითქმება. ყოველდღიურ პურობაზეც კი სასმელის უბრად (სადღეგრძელოს გარეშე) დალევა მიუღებელია. აუცილებელია ღვთის სადიდებელი და გარდაცვლილების შესანდობარი სადღეგრძელოების წარმოთქმა. ამასთანავე, დღემდე სასურველ თამადად ლხინის თუ ჭირის სუფრაზე სასულიერო პირი ითვლება. იმავდროულად, სუფრის წარმმართველები ცდილობდნენ დაეცვათ უკვე ჩამოყალიბებული წესები და სადღეგრძელომ დამწყალობება/დალოცვის ფორმასთან მსგავსება დღემდე შემოინახა. ეს ყოველივე კი ქართული პურობის (სუფრის) ტრადიციის სიძველეზე მიუთითებს. ხოლო ძველ ქართულ გარემოში ტერმინ თამადის არარსებობით ძველ საქართველოში დღევანდელი სუფრის ანალოგის უარყოფა იგივეა, რომ ვამტკიცოთ ტერმინ ტრადიციის შემოტანამდე ტრადიციები არ არსებობდაო.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეთნოკულტურული ტრადიციები ეთნოსის (ტომის, ხალხის, ერის) შექმნა-განვითარების პროცესში ისტორიულად ჩამოყალიბებულ, თაობიდან თაობაში გარდამავალ და ერთობლივად აღიარებულ პრინციპს წარმოადგენს, რომელიც საფუძვლად ედება ადამიანთა შორის მრავალმხრივ ურთიერთობათა ნორმებს ცხოვრების ყველა სფეროში. ტერმინი ტრადიცია მოგვიანებით დამკვიდრდა საქართველოში და შეესატყვისება ქართულ „წესს, ჩვეულებას“. XIX საუკუნეში დაიწყო ერთგვარი კამპანია, რომელიც ქართული ეროვნული იდეოლოგიისა და წეს-ჩვეულებების (ტრადიციების) მოსპობის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული; რუსული სახელმწიფო ინსტიტუტები მავნე ტრადიციებთან ბრძოლის მიზეზით ცდილობდნენ ეროვნული ჩვეულებების აღმოფხვრას. ქართულ ტრადიციებთან ბრძოლა გაგრძელდა საბჭოთა პერიოდშიც. მიუხედავად ამისა, ძველი ჩვეულებითი ნორმები საქართველოში ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სოციალურ ურთიერთობებსა და ყოველდღიურ ყოფაში, განსაზღვრავდნენ პიროვნების უფლება-მოვალეობას საკუთარი სოციალური მიმართ. პოსტსაბჭოთა პერიოდში ეროვნული ტრადიციის, როგორც იდენტობის ერთ-ერთი მარკერის მოქმედება უფრო მეტად შეუზღუდავი გახდა და განსხვავებული დატვირთვა შეიძინა. განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როდესაც ეთნიკური კულტურის ან მისი ელემენტების არსებობა საფრთხის წინაშე დგას. ხშირად დაპირისპირება ტრადიციულსა და არატრადიციულს

<sup>1</sup> იოსელიანი, *სტუმარმასპინძლობის ტრადიცია სვანეთში*, გვ. 95.

შორის ინვევს უკვე დავინყებულ ტრადიციის აღორძინებას. სახელმწიფო ინსტიტუტების მოქმედების შეზღუდული შესაძლებლობების გამო ჩვეულებითი ნორმების კონსერვაციის ხარისხი უფრო მაღალია საქართველოს მთაში. როგორც ჩანს, სწორედ ამას ემყარება არცთუ არგუმენტირებული შეხედულება, რომ ქართველთა თანამედროვე ყოფაში დამკვიდრებული ჩვეულებები (მაგალითად ტრადიციული სუფრა), მხოლოდ მთის მოსახლეობას უკავშირდება.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა**

**ახვლედიანი, ტრადიციების პრობლემა** — ახვლედიანი გ., *ტრადიციების პრობლემა* XVIII-XIX საუკუნეების ქართველი ისტორიკოსების ნაშრომებში, თბილისი, 1984.

**ბარდაველიძე, აგუნა-ანგურა** — ბარდაველიძე ვ., *აგუნა-ანგურა*, ძმ, 16, 1968, გვ. 12-14.

**გეგეშიძე, საქართველოს მთის ზონის მოსახლეობის** — გეგეშიძე მ., *საქართველოს მთის ზონის მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური აქტივობის საკითხები*, I სვანეთის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევა, მ. გეგეშიძის საერთო რედაქციით, თბილისი, 1975.

**გუჯეჯიანი, ქართველ მთიელთა** — გუჯეჯიანი რ., *ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან*, სვანეთი, თბილისი, 2008.

**ვარძიელი, საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო** — ვარძიელი ი., *საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა ახალი კოდექსის პროექტი*, „საბჭოთა სამართალი“, 1926, №1, გვ. 4-7.

**თევზაძე, სხვა ისტორია** — თევზაძე გ., *სხვა ისტორია*, თბილისი, 2018.

**ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო** — ითონიშვილი ვ., *ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან*, თბილისი, 1960.

**ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები** — ინგოროყვა პ., *სვანეთის საისტორიო ძეგლები*, ნაკ. 2, თბილისი, 1941.

**იოსელიანი, სტუმარმასპინძლობის ტრადიცია სვანეთში** — იოსელიანი ხ., *სტუმარმასპინძლობის ტრადიცია სვანეთში*, თბილისი, 2005.

**კეკელია, ეროვნული ტრადიციების სოციალური ფუნქცია** — კეკელია მ., *ეროვნული ტრადიციების სოციალური ფუნქცია*, თბილისი, 1989.

**ნადარეიშვილი, ზოგი მავნე ჩვეულების შესახებ** — ნადარეიშვილი გ., *ზოგი მავნე ჩვეულების შესახებ*, თბილისი, 1979.

**ნიჟარაძე, ქვემო ქართლის სვანების** — ნიჟარაძე ლ., *ქვემო ქართლის სვანების სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა*, თბილისი, 1999.

სულხან საბა ორბელიანი, *ლექსიკონი* — სულხან საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, თბილისი, 1993.

სოხაძე, *ნეს-ჩვეულებების ავკარგიანობის* — სოხაძე ა., *ნეს-ჩვეულებების ავკარგიანობის კრიტერიუმებისათვის*, თბილისი, 1985.

რობაქიძე, *ტრადიცია* — რობაქიძე ა., *ტრადიცია და ცხოვრების წესი*, თბილისი, 1981.

ფურცხვანიძე, *ადამიანის პატივისა და ღირსების* — ფურცხვანიძე ბ., *ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში*, თბილისი, 1949.

ჩიქოვანი, *მავნე ტრადიციების* — ჩიქოვანი ვ., *მავნე ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პერიოდიკის მიხედვით*, თბილისი, 1979.

*ქართული ლექსიკონი* — ქართული სალიტერატურო ენის რეატიომიანი აკადემიური ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას რედაქტორობით, ელექტრონული ვერსია, <https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>

ნ.ხიზანაშვილი, *ეთნოგრაფიული წერილები* — ხიზანაშვილი ნ., *ეთნოგრაფიული წერილები*, თბილისი, 1940.

ჭავჭავაძე, *თხზულებანი* — ჭავჭავაძე ი., *თხზულებანი*, ტ. VI, თბილისი, 1956.

ჯანიაშვილი, *საველე მასალა* — ჯანიაშვილი ლ., *საველე მასალა, ქვემო ქართლი*, 2009.

**Bayer, *Revitalization, invention*** — Bayer J., *Revitalization, invention and continued existence of the Kyrgyz Aksakal Courts: listening to pluralistic accounts of History*, JLP, 53-54, 2006, pp. 141-171.

**Benda-Beckman (et al.), *Vitality and revitalization*** — Benda-Beckman F., Benda-Beckman, K., Eckert J., Pirie F., Turner B., *Vitality and revitalization of tradition in law: going back into the past or future oriented development?* <http://www.eth.mpg.de/cms/en/research/d3/>

## The Concept of Tradition in the Georgian Cultural Context

### Summary

In recent years, some European social anthropologists have paid great attention to the study of the dynamics of ethno-cultural traditions. Specialists have studied not only their origin but also the conditions and causes for their disappearance or revitalization.

Ethno-cultural traditions are transient and collectively recognized principles, historically formed from generation to generation in the process of creation and development of an ethnos (tribe, people, nation); norms of multifaceted relations between people in all spheres of life are based on them. The term “tradition” was adopted in the Georgian language late and corresponds to the term “customs”.

In the 19<sup>th</sup> century, a campaign began against the policy of Russification in Georgia, aimed at eradicating Georgian national ideology and customs; the entire period of Georgia’s being under Russian rule including the period of the Soviet regime was accompanied by various measures against national traditions and customs. First of all, it was a series of reforms carried out against Georgian legislation, the unification of the judicial system and establishment of Russian laws, the transformation of the Georgian Church and the education system, etc. Russian state institutions tried to eliminate national customs under the pretext of fighting against harmful traditions.

In Soviet times, in the 1920s, as well as in the 1970s there was organized a large-scale campaign against harmful customs and traditions. Traditions have been assessed as positive and negative, by their role in social progress. There was declared a fight against all the customs and traditions that were contrary to progress. Nevertheless, the old customary norms in Georgia have always played an important role in social relations and everyday life, defining the rights and obligations of a person to their society.

In the post-Soviet period, the operation of the national tradition as one of the markers of identity has become more unlimited and has acquired a different meaning. Especially when the existence of an ethnic culture or its elements is under threat. Often, the confrontation between the traditional and the non-traditional leads to the revival of an already forgotten tradition. Due to the limited capacity of state institutions, the degree of preservation of customary norms has been higher in the mountains of Georgia. It seems that this is the basis for a little reasoned opinion that the customs that have developed in the modern life of Georgians (for example, the traditional *s u p r a*) refer only to the mountain communities.